პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 81
(6642)

26 1980 წ.
აპრილი.
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გ ვ ა ს ა ხ ე ლ ე ს

ვახტანგ ბლაგიძე — ევროპის ჩემპიონი

ნანა იოსელიანი — ნახევარფინალში

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პრიევიძაში გამართული კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი საბჭოთა სპორტსმენთა დიდი გამარჯვებით დამთავრდა. მათ ანგარიშზეა ოქროს 5, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 1 მედალი. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ქვეყნის ფალავნებმა 13 ქულით ჩამოიტოვეს მეორე ადგილზე გასული ბულგარეთის ნაკრები. მესამე იყო რუმინეთის კოლექტივი.

ჭიდაობის მოყვარულებმა უკვე იციან რომ შესანიშნავად იასპარეზა თბილისის დინამოელმა ვახტანგ ბლაგიძემ (52 კგ), რომელმაც მეორედ მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონის ტიტული. ბლაგიძე ფინალის დღეს ორჯერ გამოვიდა სარბიელზე. მან ჯერ 40 წამში დაამარცხა რ. კრაუსი (გფრ), გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი აშკარა უპირატესობით (18:3) სძლია ბულგარელ მ. მლადენოვს.

ჩემპიონატის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს ბლაგიძის მაღალი ოსტატობა.

26 წლის ვ. ბლაგიძემ ევროპის ჩემპიონობა პირველად 1978 წელს მოიგო. იმავე წელს მსოფლიოში უძლიერესის სახელიც მოიხვეჭა. შემდეგ მას რამდენიმე შეჯიბრებაში ხელი მოეცარა, თუმცა სპეციალისტები ყოველთვის ფავორიტთა შორის ასახელებდნენ. ახლა უკვე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მჩატე წონაში ბლაგიძეს ბადალი არა ჰყავს და ოლიმპიური „ოქროს" რეალურ კანდიდატად ითვლება.

საბჭოთა გუნდს ოქროს მედლები შესძინეს, აგრეთვე, ვ. კონსტანტინოვმა (57), ნ. დავიდიანმა (62), გ. კორბანმა (82) და ი. კანიგინმა (90). „ვერცხლი" მოიპოვეს ქ. უშეემნეროვმა (48), ა. კრავჩენკომ (68) და ე. არტიუხინმა (მძიმე წონა). III ადგილზე გავიდა ვ. მკრტიჩევი (74).

□

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ბლაგიძე.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

დონი-მილანოვაცში (იუგოსლავია) 23 აპრილს შედგა ნ. იოსელიან-ჟ. ვერეცის (უნგრეთი) მატჩის IX პარტია.

სიცილიურ დაცვაში, რომელიც იოსელიანმა მეხუთედ გამოიყენა ამ მატჩში, ვერეციმ თამაშის განსხვავებულ გეგმას მიმართა, ვიდრე წინა პარტიებში. მან სწრაფად გახსნა ლაზიერის ფრთაზე თავისი მეფე და პაიკებით იერიში წამოიწყო.

იოსელიანი ხარისხის გაბედული შეწირვით თავს დაესხა თეთრ მეფეს. მისი იერიში იმდენად ძლიერი იყო, რომ თავგამოდებული დაცვის მიუხედავად ვერეცი იძულებული შეიქნა დაეთმო ლაზიერი. მალე უნგრელმა დიდოსტატმა ფარ-ხმალი დაყარა.

აი, ეს პარტია:

ჟ. ვერეცი — ნ. იოსელიანი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კe3 e6 7. g4 h6 8. ლe2 მc6 9. 0—0—0 კd7 10. f3 ეc8 11. h4 მ:d4 12. კ:d4 e5 13. კe3 ლa5 14. კh3 ე:c3 15. bc d5 16. ed კa3+ 17. მფb1 კb5 18. ლe1 კc4 19. კc1 0—0 20. კf1 კ:a2+ 21. მფ:a2 კ:c1 22. მფb1 ლa3 23. ე:c1 მ:d5 24. ლ:e5 მ:c3+ 25. ლ:c3 ლ:c3 26. კd3 ეd8 27. ეhe1 g6. თეთრები დანებდნენ.

ამრიგად, ნანა იოსელიანმა გაიმარჯვა ანგარიშით 6:3 (3 მოგება, 6 ყაიმი) და ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვა.

მატჩი დონი-მილანოვაცში უაღრესად საინტერესოდ მიმდინარეობდა. გავიხსენოთ მისი მსვლელობა.

სტარტზე ზედიზედ 4 ყაიმი და უშედეგო ბრძოლა. მეხუთე პარტიაში იოსელიანმა მცირე პოზიციური უპირატესობა „გადაადნო" ზედმეტ პაიკში და ზუსტი თამაშით გაიმარჯვა.

მეექვსე და მეშვიდე პარტიებში იმატა ბრძოლის სიმძაფრემ, მაგრამ ბოლოს ისინი დაზავებით დამთავრდა. ფინიშის სიახლოვემ აიძულა ვერეცი უფრო აქტიურად ებრძოლა, რასაც იგი ჩვეული არ არის. ამიტომ ცდებოდა ტაქტიკურ გართულებებში, რაც საუცხოოდ გამოიყენა იოსელიანმა, ორივე პარტია და მატჩიც მოიგო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეტოქეთა პრინციპული სადებიუტო პაექრობა. ისინი მხოლოდ 2 დებიუტს მიმართავდნენ: იოსელიანი სიცილიურ დაცვას, ვერეცი — ესპანურ პარტიას. ქართველმა მოჭადრაკემ 2 პარტია მოიგო შავებით, ერთი — თეთრებით.

ნახევარფინალურ მატჩში ნანა იოსელიანი შეხვდება მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს. მათი ორთაბრძოლა 1 ივლისს უნდა დაიწყოს.

თ. გიორგაძე.

□

ს უ რ ა თ ზ ე: ნანა იოსელიანი.
ა. ვაჩიანის ფოტო.

● თავისუფალი ჭიდაობა

კარგად დაიწყეს

ჩეხოსლოვაკიის პატარა ქალაქი პრიევიძა ევროპის საჭიდაო ცენტრადაა ქცეული. აქ ეს-ესაა დამთავრდა კონტინენტის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში და უკვე ოქროს მედლებისათვის ბრძოლა გააჩაღეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა.

პირველ დღეს 2-2 წმინდა გამარჯვება მოიპოვეს ერევნელებმა — ა. ხანოიანმა (48 კგ.) და გ. ბალდასარიანმა (57), მახაჩყალელებმა ს. აფსაიდოვმა (68) და მ. მაგომედოვმა (100). აღსანიშნავია, რომ მაგომედოვმა დაამარცხა მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონი ჰ. ბიუტნერი (გდრ). ერთი საჯარიმო ქულა აქვს ორჯონიკიძელ ო. კალოევს (82).

[illegible]

● ჭადრაკი

გამარჯვებულის გამოვლენამდე

მექსიკაში მიმდინარე ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — ლ. პორტიშის (უნგრეთი) მატჩში მოეწყო IX პარტია.

სპასკიმ შეძლო უპირატესობის მიღება და გაიმარჯვა, რითაც ანგარიში მატჩში გათანაბრდა — 4,5:4,5.

ძირითადი ტურნირის დაგეგმილ X პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 5:5.

ამრიგად, ამ მეოთხედფინალში გამარჯვებულის საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია. ფიდე-ს წესებით პორტიშსა და სპასკს შორის დაინიშნება იმდენი დამატებითი 2 პარტია, რამდენიც საჭირო იქნება ნახევარფინალისტის ვინაობის გასარკვევად.

პირველი დამატებითი პარტია დღეს შედგება.

● ტყვიის სროლა

4 ქულით

სოხუმში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის" პრიზები თამაშდება. ასპარეზობაში 11 ქვეყნის 70 სპორტსმენი მონაწილეობს. მცირეკალიბრიანი ნებისმიერი პისტოლეტის 50 მეტრიდან სროლაში ფრუნზელმა ა. მელენტიევმა 581 ქულა მოაგროვა. ეს 4 ქულით აღემატება შვეიცარიელი მ. მინდერის მსოფლიო რეკორდს და ამდენივეთი სჯობს სოხუმელი მ. პაპავას საკავშირო მიღწევას.

● ავიამოდელიზმი

რეკორდები ცაში

ტაშკენტში გამართულ ავიამოდელისტთა საკავშირო პირველობაზე მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სპორტსმენებმა ვ. მაკეევმა და ი. ციბიზოვმა ძგუშისძრავიანი და რადიოსამართავი ვერტმფრენის მოდელით აჩვენეს შედეგი, რომელიც საკავშირო და მსოფლიო რეკორდებს აღემატება. მათი ნამუშევარი ავიდა 1150 მ სიმაღლეზე. ეს საგრძნობლად სჯობს გფრ-ის მოდელისტთა ძველ მიღწევას — 1058 მ. მათვე დაამყარეს ფრენის ხანგრძლივობის საკავშირო რეკორდი — 44 წუთი და 37 წამი.

● ველოსპორტი

მექსიკის გზებზე

სტარტი აიღო მექსიკის მრავალდღიანმა ველორბოლამ. შეჯიბრებაში მასპინძლების გარდა მონაწილეობენ სსრ კავშირის, აშშ-ის, პოლონეთის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები. პირველ ეტაპზე ყველას აჯობა საბჭოთა ნაკრების წევრმა ვ. გალინაუსკასმა — 1:13.42. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მისი თანაგუნდელები ს. კრივოშეევი და ვ. მაკარკინი. მთიან გზებზე გამავალი ამ ეტაპის სიგრძე 66 კმ იყო. ველორბოლა 4 მაისს დამთავრდება.

შ რ ო მ ი ს დ ა ფ ა ს ე ბ ა

ჯილდოები დოსააფელებს

საქართველოს დოსააფის ორგანიზაცია ერთ-ერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირში. იგი ყოველწლიურად საკმაო რაოდენობით ამზადებს მძღოლებს, მექანიზატორებს, ნაყოფიერად მუშაობს წვევამდელებთან, დიდ ყურადღებას უთმობს სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარებას. მათ სამხედრო-პატრიოტულ, მასობრივ-თავდაცვით, სასწავლო და სპორტულ მუშაობაში შესანიშნავი წარმატებებით აღნიშნეს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავის დღესასწაულებისთვის მზადება.

საქართველოს დოსააფელებმა, ჩაებნენ რა გასული წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში, მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწიეს, რისთვისაც ისინი **საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდნენ.**

ეს წარმატება განაპირობა რესპუბლიკური, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, პირველადი ორგანიზაციების გულმოდგინებამ. **შიდარესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში უძლიერესის სახელი მოიპოვა დოსააფის თბილისის ორგანიზაციამ, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.**

უფრო მასობრივი იყო სასწავლო ორგანიზაციებს შორის გამართული კონკურსი. მასში ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის დოსააფის სასწავლო ორგანიზაციები მონაწილეობდნენ. **ამ შეჯიბრებაში ზედიზედ მესამედ უძლიერესის სახელი მოიპოვა რუსთავის დოსააფის ავტოსკოლამ.**

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების გამოცხადებასა და ჯილდოების გადაცემას მიეძღვნა ამ დღეებში თბილისში გამართული რესპუბლიკის დოსააფის აქტივის კრება თბილისის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საპატიო პრეზიდიუმში ტაშის გრიალით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

სცენაზე გამოდის საქართველოს დედაქალაქის თბილისის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **თ. ნ. მენთეშაშვილი.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ე. ჩერქეზიამ** მას გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და გულთბილად მიულოცა თბილისელებს მაღალი ჯილდო.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სამმართველოს უფროსს გენერალ-მაიორ **კ. ნ. ხოდირევს.** მან გულთბილად მიულოცა საქართველოს დოსააფელებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოება. კ. ნ. ხოდირევმა კრების მონაწილეთა ტაშის გრიალში გადასცა გარდამავალი წითელი დროშა საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის გმირს, გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტს **ვ. ნ. ჯანჯღავას.**

როდემდე, კასპელო ამხანაგებო?

წერილი კასპის რაიონის ხელმძღვანელობას, სოფელ მეტეხის თავკაცებს

უდარდელობის, უპასუხისმგებლობისა და ბიუროკრატობის ერთმა საოცარმა ფაქტმა არ მომასვენა, ხუთი წელია მისი ყოველი გახსენება გულში თითო წვეთ შხამს მიმატებს. მეც ბევრი ვიბრძოლე, სხვებიც ავიყოლიე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ. მერე ვიფიქრეთ — ამდენი ამბის შემდეგ, ალბათ, კასპელი ამხანაგები ბოლოსდაბოლოს დაფიქრდებიან და საქმეს მიხედავენ-თქო და გულიც ამით დავიმშვიდეთ.

მაგრამ აი, გავშალე გაზეთ „ლელოს" წლევანდელი 16 აპრილის ნომერი, წავიკითხე ჯ. კასრაძის წერილი „სიტუაცია, რომელიც არ გამორიცხავს უდისციპლინობას". მხილების ერთმა ნაწილმა განსაკუთრებით დამაფიქრა: „მეორე დიდი სოფელი, რომელსაც ასევე რედაქციაში შემოსული წერილის გამო ვეწვიეთ, მეტეხი იყო. აქ მოედანი საკმაოდ მოხერხებულ ადგილზე სოფლის ცენტრთან ახლოს მოუწყვიათ, მაგრამ მას რომ შემოღობვა და მოვლა უნდოდა, ამაზე არავის უფიქრია... მოედნის დიდი ნაწილი იმდენად ოღრო-ჩოღროა, შეიძლება კისერი მოიტეხო, გარდა ამისა, კარგი იქნება თუ მეორე კარსაც დააყენებენ. ილიას ლუარსაბისა არ იყოს, ალბათ, ბევრი იტყვის — შე დალოცვილო, რაღა მე წამავლე ხელი, ჩემნაირი და ჩემზე უარესი ათასიაო..."

მიაქციეთ ყურადღება ბოლო სიტყვებს: რაღა მე წამავლე ხელიო. გეთანხმებით: სამწუხაროდ, უპასუხისმგებლობის ცოცხალი მოწმენი — გადახნული მოედნები თუ საწყობად გამოყენებული დარბაზები სხვაგანაც მოიძებნება, მაგრამ ეს გარემოება თქვენ არავითარ შემთხვევაში არ გამოგადგებათ თავის გასამართლებლად. საქმე ისაა, რომ მეტეხის სპორტული მოედანი ალბათ უკვე ერთადერთი ობიექტია, რომელზეც ამდენი ითქვა და დაიწერა, მაგრამ, ამასთან, ადგილობრივ ხელმძღვანელთა არც ამდენი ხითხითი გვსმენია სადმე — „წერეთ და იკითხეთო".

გაგახსენებთ ისტორიას: ამ 6-7 წლის წინათ საქართველოს ტელევიზიის თხოვნით გახლდით კასპის რაიონში. მეტეხის მოედანსაც ვეწვიე. ახალგაზრდობის კულტურული დასვენების ეს ადგილი ისეთი მყრალა ბალახით იყო დაფარული, შიგ ბავშვები ჩავაყენე — ძლივს მოუჩანდათ თავები. მაშინ ტელევიზიით მთელმა რესპუბლიკამ გაიგო ამ სამარცხვინო ფაქტის შესახებ. ვიფიქრეთ, სხვაზე ადრე თვით მეტეხის თავკაცებს შერცხვებათ და სასწრაფოდ მოაწყობენ მოედანსო, მაგრამ 3 წლის შემდეგ, როცა ისევ ვეწვიე კასპს, რაიონის სპორტული მოძრაობის მესვეურებმა მთხოვეს, იქნება ესტუმრო მეტეხს და ადგილობრივ ხელმძღვანელებს ესაუბრო მოედნის თაობაზე, თორემ ჩვენი ასგზის თხოვნა მუდამ უყურადღებოდ დარჩაო.

გავიდა კიდევ სამიოდე წელი და... არაფერი შეცვლილა, „ლელოს" ფურცლებზე ჩემი ერთი კრიტიკული წერილი ასეთი ფაქტით დავამთავრე: „კასპის რაიონის სოფელ მეტეხის სტადიონთან ვდგავარ და საფეხბურთო მინდორზე წელამდე ამოსულ მყრალა ბალახს გავყურებ. ამ ექვსიოდე წლის წინაც ზუსტად ასე გამოიყურებოდა ეს მინდორი. მაშინ რაიონში საჭირო ლექციებთან ერთად ბევრი სხვა ღონისძიებაც გავატარე, შევხვდი რაიკომის მდივანს, მოვაწყე კრიტიკული გადაცემა ტელევიზიით, მაგრამ, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, მაშინ ნათქვამ სიტყვებს დახვდა „უდარდელობის ცხრა კლიტით გადაკეტილი გული". მაგრამ ვაი რომ ეს მეორე სიგნალიც დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ეს იყო 1979 წლის 28 ოქტომბერს. მას შემდეგ ნახევარი წელი გავიდა და აი, „ლელოს" მესამედ მოუხდა მეტეხის მოედნის გახსენება.

არ შეიძლება არ დამეთანხმოთ: რაღაც საოცარ კრიმინალთან გვაქვს საქმე. თავის მართლებისთვის ალბათ სიტყვების ძებნა არ დაგჭირდებათ (ეს უკვე სამჯერ დაამტკიცეთ თქვენი დუმილით). როგორც ჩანს, ახალგაზრდობის, კოლმეურნე გლეხობისა და, თუ გნებავთ, ზემდგომი პარტიული თუ საბჭოთა ორგანოების წინაშე რიდისა და პასუხისმგებლობის გრძნობაც მოგიჩლუნგდათ და პასუხსაც არ დააყოვნებთ — სოფლის ახალგაზრდობა თავად რაღას აკეთებსო! გეთანხმებით, ეს საქმე მათი უშუალო ზრუნვის საგანიცაა, მაგრამ როცა ხედავთ, რომ ახალგაზრდობას არ აღმოაჩნდა ორგანიზებულობისა და შეთანხმებული მოქმედების უნარი, თქვენ სადღა იყავით როგორც ხელმძღვანელები, რატომ არ ჩაუდექით მათ სათავეში?

მაგრამ მე ამ შემთხვევაში სულ სხვა მისამართი მივეცი წერილს, და აი რატომ: გაიხსენეთ რა წერია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ". როდესაც ლაპარაკობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე, სპორტული ბაზების უკუგებაზე, პარტია პირდაპირ მიუთითებს: „სპორტული ბაზების ეფექტიანი გამოყენებისთვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს". და კიდევ: ამ 2 წლის წინ საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ შემდეგი გაახსენა ჩვენს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს: „ჩვენ ასეთნაირად ვაყენებთ დღეს ამოცანას: მივმართოთ მოწოდებით პარტიულ კომიტეტებს, საბჭოთა ორგანოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს, ვიზრუნოთ ყველამ ერთად ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის საკითხების კომპლექსური გადაწყვეტისთვის, აღვზარდოთ სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ახალგაზრდობა. ეს ჩვენი დღევანდელობის ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა".

ხომ გასაგებია როგორ ისმება საკითხი: პარტიამ გარკვევით გითხრათ, რომ ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდა, რომელშიც ფიზიკურ აღზრდას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია, უსერიოზულესი ამოცანაა და ამ საქმეს პარტიული და საბჭოთა ორგანოები უნდა ჩაუდგნენ სათავეში. ალბათ მიხვდებით, ამით ისიც გითხრეს, რომ თავი გაანებოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ჩავარდნის მიზეზთა გადაბრალებას მხოლოდ ფიზკულტურულ მუშაკებზე და თავად დადგეთ სადღეისო ბრძოლის წინა ხაზზე, გაუძღვეთ იმავე ფიზკულტურულ მუშაკებს, მოსთხოვოთ, ასწავლოთ, დაეხმაროთ.

ნუთუ იმ სამი კრიტიკული გამოსვლიდან არც ერთმა არ აუფორიაქა გული პარტიის რაიკომის, აღმასკომის, კომკავშირის რაიკომის მუშაკებს? როგორ შეეძლო გული დაემშვიდებინა, ვთქვათ, რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილებას, რომელსაც უშუალოდ ევალება რაიონში სპორტის პროპაგანდა, მეტეხის მოედანი კი, პირიქით, სპორტის ანტიპროპაგანდის ცოცხალი ობიექტის როლს თამაშობს? როგორ შეიძლება მშვიდად ყოფილიყვნენ კომკავშირის რაიკომის მუშაკები, რომლებიც ალბათ ხშირად გულდაწყვეტით ლაპარაკობენ სოფლის ახალგაზრდობის მიგრაციის არასასურველ ფაქტებზე და სინამდვილეში თავიანთი უსულგულობით ძალზე ცოტას აკეთებენ ამ მოვლენის აღსაკვეთად. მათ მესამე სიგნალის შემდეგაც არ მიხედეს მოედანს, რომელსაც სოფლად ახალგაზრდობის დამაგრებაში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია. და, ბოლოს, რა სიმშვიდით უნდა ეძინოს სოფლის თავკაცს — კოლმეურნეობის თავმჯდომარე იქნება იგი, პარტორგანიზაციის მდივანი, ალკკ კომიტეტის მდივანი თუ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე? დავუშვათ, რომ ფიზკულტურის საკოლმეურნეო კოლექტივის თავმჯდომარე უნიათო მუშაკი გამოდგა და არაფერი გააკეთა, თქვენ ეს ფაქტი თავის მართლებისა და დამშვიდების უფლებას გაძლევთ? ის მოედანი ხომ თქვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს უნდა მოემსახუროს?

მე ამ საყვედურებს ალბათ ასეთ მკვეთრ ფორმებში არც გამოვთქვამდი, საამისოდ დამატებითი საფუძველი რომ არ გამაჩნდეს. სწორედ მაშინ, როდესაც პირველად ჩავედი კასპში ტელეგადაცემის მოსამზადებლად, პარტრაიკომის პირველ მდივანს ვეწვიე. აი, როგორი დიალოგი გაიმართა ჩვენს შორის:

— პატივცემულო მდივანო, ერთ კვირაში ტელევიზიით უნდა გამოვიდე თქვენს რაიონში სპორტული მუშაობის ავ-კარგზე. მინდა ვთქვა ისიც, რომ დღემდე რაიონს ერთი აუზიც არ გააჩნია.

მდივანი დაფიქრდა.

— ჯერჯერობით არა გვაქვს საშუალება! — ამიხსნა მან.

— ცემენტი თქვენს რაიონში მზადდება, ქვითა და სილით სავსეა მტკვრის ნაპირები, რა შეგაფერხებთ!

იგი ისევ დაფიქრდა და ბოლოს მტკიცედ განმიცხადა:

— შეგიძლიათ უთხრათ ტელემაყურებლებს, რომ ჩვენ მომავალ წელს გვექნება აუზი!

— სიტყვა — სიტყვაა! — ვთქვი გახარებულმა, მაგრამ... რაღა ბევრი გავაგრძელო, აუზი დღესაც არ აქვთ კასპელ ახალგაზრდებს.

მეორე დღეს კომკავშირის რაიკომის მდივანს ვესაუბრე, გავახსენე, რომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა შტატგარეშე განყოფილება სახელწოდებით „არც ერთი სოფელი მარტივი ტიპის სტადიონის გარეშე", რომლის ხელმძღვანელიც მე გახლავართ და, რომელსაც ევალება რეგულირება და კონტროლი გაუწიოს კომკავშირის რაიკომების მიერ სასოფლო სპორტული ბაზების მშენებლობაში აღებულ ვალდებულებათა შესრულებას. ვთხოვე მეტი ყურადღება მიექცია ამ საქმისთვის. მაშინ დადებითი პასუხი მივიღე, მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, კომკავშირის რაიკომის „მოღვაწეობა" ამ დარგში არ გასცილებია ფიზკულტურის რაიონული კომიტეტისა და აღმასკომის მიერ ჩატარებული სამუშაოს აღრიცხვას.

ვფიქრობ, ასეთი უსულგულობის სიტუაცია, რაც მაშინ მეფობდა კასპის რაიონის ხელმძღვანელ წრეებში, მეტეხის ხელმძღვანელობასაც ანალოგიურად განაწყობდა და აი, პირდაპირი შედეგიც.

ახლა, როგორც ხედავთ, კიდევ ერთი წერილის გამოქვეყნებაც გახდა საჭირო!

თქვენ როგორ ფიქრობთ კასპელო ამხანაგებო, ასე ვწეროთ და ვიკითხოთ გაუთავებლად?

დოცენტი **ა. ციბაძე.**

● წყალბურთი

თასი — უნივერსიტეტელებს

ახლახან ბათუმში გაიმართა საქართველოს წყალბურთელთა თასის გათამაშება. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის „ლოკომოტივის", უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, განათლების სამინისტროს, თბილისის უნივერსიტეტის, ქუთაისისა და ბათუმის „განთიადის" გუნდები.

უნივერსიტეტის კოლექტივი (მწვრთნელი ს. მაისურაძე) ყველაზე ახალგაზრდული იყო. მიუხედავად ამისა, სწორედ მათ მოიპოვეს საქართველოს თასი. გუნდში გამოდიოდნენ: ს. ნაროზაშვილი, ნ. ნოზაძე, ა. ქებაძე, გ. აბზიანიძე, გ. სეხნიაშვილი, მ. დობორჯგინიძე, ი. პოლოსოვი, გ. ღონღაძე, ნ. ჩანტლაძე და ვ. სამადბეგიშვილი.

როგორც ჩანს, საიმედო შევსება გვეზრდება და, ამდენად, მით უფრო სასიამოვნოა უნივერსიტეტელთა გამარჯვება.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ს წყალბურთელები ის სპორტსმენები არიან, რომლებიც მოსწავლეთა ბოლო საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავდნენ.

ეს გუნდი თბილისის განათლების სამმართველოს აღზრდილი კოლექტივია. მან უკანასკნელ წლებში სხვადასხვა მასშტაბის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 11-ჯერ გაიმარჯვა, ორჯერ იყო რესპუბლიკის ჩემპიონი, საქართველოს თასს კი პირველად დაეპატრონა. მან ამ წარმატებას მძიმე და დაძაბულ ბრძოლაში მიაღწია: თსუ-მ და უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის გუნდმა გადამწყვეტ შეხვედრაში ფრედ ითამაშეს. მანამდე ორივე კოლექტივს ყველა შეხვედრა მოგებული ჰქონდა. მეტოქეებს ბურთების შეფარდებაც ერთნაირი აღმოაჩნდათ — პლუს 31, მაგრამ გატანილი ბურთების რაოდენობით უნივერსიტეტელებმა ოთხით აჯობეს (50 ბურთი) მოწინააღმდეგეს.

შეჯიბრებაში მესამე იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი.

ა. რამველიშვილი.

• • •

სურათზე: თამაშობს უნივერსიტეტის გუნდი.

„იმედის სტარტების" მეხუთე ფინალის წინ

ჩვენს რესპუბლიკაში წელს მეხუთედ ტარდება მოსწავლეთა ყველაზე უფრო მასობრივი და პოპულარული შეჯიბრება — „იმედის სტარტები".

მისი პირველი ეტაპი — შიდასასკოლო ასპარეზობები დასასრულს მიუახლოვდა. დადგა დრო, როცა ერთმანეთს შეხვდებიან სკოლებში გამარჯვებული კლასები და გამოვლინდებიან ქალაქებში, რაიონებში უძლიერესნი. მერე ისინი რესპუბლიკურ ფინალურ შეჯიბრებაში გამოცდიან ძალებს. აქ ყველა რაიონისა და ქალაქის საბჭოებმა 10 მაისისთვის უნდა გამოავლინონ გამარჯვებული კლასი და 15 მაისამდე წარადგინონ ჩატარებულ შეჯიბრებათა შესახებ ანგარიში და განაცხადი „იმედის სტარტების" რესპუბლიკურ საბჭოში.

28 მაისს დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე საქართველოს 24 საუკეთესო კლასი იასპარეზებს საკავშირო ტურნირში მონაწილეობის უფლებისთვის (ეს შეჯიბრება სექტემბერში ჩატარდება საკავშირო პიონერულ ბანაკ „არტეკში").

შარშან რესპუბლიკის ზოგიერთმა რაიონმა ვერ მოახერხა „იმედის სტარტების" ჩატარება ადგილებზე, რის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკურ ფინალურ ასპარეზობაში.

ვიმედოვნებთ, წლეულს ასეთი რამ არ მოხდება. ეს იმითაცაა ნაკარნახევი, რომ „იმედის სტარტები" საქართველოს მოსწავლეთა XXXI სპარტაკიადის სავალდებულო სახეობაა.

შარშანდელ საკავშირო ფინალურ შეჯიბრებაზე საქართველოს წარგზავნილებმა — ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის საშუალო სკოლის მეხუთეკლასელებმა IV ადგილი დაიკავეს სოფლის სკოლებს შორის, ხოლო თბილისის 121-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელებმა — VIII ადგილი ქალაქების სკოლათა შეჯიბრებაში. ეს შედეგები საპატიოა, ვინაიდან იმ სტარტებში მონაწილეობდა ქვეყნის 130 საუკეთესო კლასი.

მ. მეძღლიშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის სასკოლო განყოფილების გამგე.

მომავალი ოლიმპიელის რეკორდი

ამას წინათ ვიტყობინებოდით, რომ თბილისელი მწვრთნელის ვ. ვდოვინის (იგი ამჟამად ალჟირში მუშაობს) მოსწავლემ ო. ბელფამ სიმაღლეზე ხტომაში აფრიკის რეკორდი გააუმჯობესა (219 სმ) და ოლიმპიური ნორმატივი შეასრულა. ახლა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მისმა მეორე მოსწავლემ ა. ბუბეკერმაც შეასრულა ოლიმპიური ნორმატივი და თანაც თავისი კონტინენტის რეკორდი დაამყარო, ოღონდ მან უროს ტყორცნაში გამოიჩინა თავი. ბუბეკერმა 59,10 მეტრი აჩვენა.

● ფეხბურთი

43 სსრ კავშირის ჩემპიონატი

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის 43-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგე, V ტურის ტექნიკური მონაცემები:

„ქაირათი“ — „ტორპედო“ 0:1 (0:0). გოლი 69-ე წუთზე პენალტით გაიტანა კოვალიოვმა.

გაფრთხილებული არიან ალმა-ათელები ბაიშაკოვი და ბულგაკოვი, აგრეთვე, ტორპედოელები მინაევი და ჩანოვი.

დუბლიორები — 1:1.

„ფახთაქორი“ — ცსკა 3:0 (1:0). არმიელთა კარი ორჯერ აიღო ნარტაჯიევმა (ერთი — პენალტით), მესამე გოლის ავტორია ნიკიფორენკო.

დუბლიორები — 1:0.

„დინამო“ კ. — „ლოკომოტივი“ 2:0 (1:0). კიეველთა იერიშები გოლებით დაამთავრეს ბურიაკმა და ბლოხინმა.

დუბლიორები — 0:0.

„ჩერნომორეცი“ — ასკ 0:0.

დუბლიორები — 1:1.

„ნეფთჩი“ — „სპარტაკი“ 0:0. გაფრთხილებულია ბაქოელი იბრაგიმოვი.

დუბლიორები— 2:1.

„შახტიორი“ — „კარპატი“ 1:1 (0:0). პირველ წარმატებას 81-ე წუთზე მიაღწია ლვოველმა დუბროვნიმ (პენალტი), საპასუხო გოლი კი მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე გაიტანა ფედორენკომ.

მინდვრიდან გააძევეს „შახტიორის“ მცველი ვარნავსკი, ხოლო ლვოველმა როდინმა გაფრთხილება მიიღო.

დუბლიორები — 1:1.

„ყუბანი“ — „დინამო“ მნ. 0:1 (0:1). ბურთი 31-ე წუთზე გაიტანა პროკოპენკომ.

დუბლიორები — 1:2.

„არარატი“ — „ზენიტი“ 2:2 (1:1). მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ან. ხაჩატრიანმა და მელოსიანმა, ხოლო სტუმართაგან — ტიმოფეევმა და ლარიონოვმა.

დუბლიორები— 1:1.

გათამაშების საუკეთესო ბომბარდირთა სიას 5-5 გოლით სათავეში ჩაუდგნენ ნ. ნარტაჯიევი („ფახთაქორი“) და ა. პროკოპენკო („დინამო“, მინსკი). რ. ჩელებაძეს (თბილისის „დინამო“) გატანილი აქვს 4 ბურთი.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 26 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნეფთჩი“	5	4	1	0	11—4	9
„ფახთაქორი“	5	4	1	0	8—2	9
„კარპატი“	5	3	1	1	6—10	7
„დინამო“ მ.	5	2	2	1	8—5	6
„დინამო“ მნ.	5	2	2	1	6—4	6
„დინამო“ კ.	4	2	1	1	6—5	5
„შახტიორი“	5	2	1	2	9—10	5
„დინამო“ თბ.	5	1	3	1	8—6	5
„არარატი“	5	1	3	1	4—4	5
„ჩერნომორ.“	5	1	3	1	3—3	5
ცსკა	5	2	0	3	7—8	4
„ტორპედო“	5	1	2	2	5—8	4
ასკ რ.	5	1	2	2	4—7	4
„ქაირათი“	5	0	4	1	1—3	4
„სპარტაკი“	5	1	1	3	11—6	3
„ლოკომოტ.“	5	1	1	3	5—8	3
„ყუბანი“	5	1	0	4	5—9	2
„ზენიტი“	4	0	2	2	3—8	2

ნაკრები განაგრძობს მზადებას

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები განაგრძობს მზადებას ოლიმპიური თამაშების ფინალისთვის და ამ პროგრამით 29 აპრილს შვეციის ქალაქ მალმეში გამართავს ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს შვეციის გუნდთან.

ჩვენი მეტოქეები ახლა ემზადებიან 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის ევროპის VI ჯგუფში. მატჩები მათ ეწყებათ ივნისის შუა რიცხვებში. შვეციის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე ლ. არნესონმა ამას წინათ შეცვალა ჯ. ერიქსონი და როგორც მან განაცხადა, რთული პრობლემები ჯერჯერობით არ დაუსახავს, ვინაიდან სეზონი შვეციაში სულ ახლახან დაიწყო და შეკრებაზე გამოიძახეს ის ფეხბურთელები, რომლებსაც შარშან ჰქონდათ შესაბამისი მიღწევები.

ლ. არნესონმა დაასახელა 16 კანდიდატი, რომლებსაც ამზადებს 29 აპრილისთვის. იქ მხოლოდ ორი დებიუტანტია — ნახევარმცველი კარლსონი და თავდამსხმელი კ. ლარსონი. დანარჩენები საკმაოდ ცნობილი მოთამაშეებია, განსაკუთრებით, მეკარე მელერი, მცველი ერლანდსონი, ნახევარმცველი ლინდეროტი, თავდამსხმელი შებერგი, რომლებიც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოდიოდნენ. მათს გარდა შემადგენლობაში ჩაირიცხნენ მეკარე ვერნერსონი, წინა ხაზების მოთამაშეები — არვიდსონი, ბაკე, ფრედრიქსონი, ჰოლმგრენი, იონსონი, ს. ლარსონი, ნილსონი, ნურდგრენი, რამბერგი.

წლეულს შვეციის ნაკრებმა ერთი საწვრთნელი მატჩი ჩაატარა საფეხბურთო ჟურნალისტთა წინადადებით შედგენილ გუნდთან და ფრედ დაამთავრა იგი — 0:0.

შვეციის ეროვნულ ჩემპიონატში ახლა განვლილია 3 ტური. 5 ქულით გათამაშებას ლიდერობს ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბი „მალმე“, რომელმაც შარშან ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში ითამაშა. ერთი ქულით ნაკლები აქვთ „ლანდსკრუნას“, „ესტერს“ და „გეტებორგს“.

სსრ კავშირის ჩემპიონატში, როგორც ცნობილია, ნათამაშევია 5 ტური, რის შემდეგ მოეწყო მცირეხნიანი შესვენება შვედებთან მატჩისთვის. კანდიდატთა რიცხვში მწვრთნელებმა შეიყვანეს: მეკარეები **დასაევი** („სპარტაკი“) და **პილგუი** (მოსკოვის „დინამო“); მცველები — **როდინი** („კარპატი“), **ჩივაძე** და **სულაქველიძე** (ორივე — თბილისის „დინამო“), **ხიდიატულინი** და **რომანცევი** (ორივე — „სპარტაკი“), **შავეიკო** (მინსკის „დინამო“); ნახევარმცველები — **ჩერენკოვი, შავლო** და **გავრილოვი** (ყველა — „სპარტაკი“), **ბესონოვი** (კიევის „დინამო“), **ფედორენკო** („შახტიორი“), **ოგანესიანი** („არარატი“); თავდამსხმელები — **ანდრეევი** (ასკ, დონის როსტოვი), **ჩელებაძე** (თბილისის „დინამო“) და **როდიონოვი** („სპარტაკი“).

შვეციისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრა შედგება სტადიონზე, რომელიც 1958 წელს სპეციალურად აიგო მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ამ მინდორზე შვეციის ნაკრებმა 22 წლის მანძილზე გამართა 18 საერთაშორისო შეხვედრა, რომელთაგან არც ერთი არ წაუგია.

29 აპრილის მეტოქეები დღემდე 12-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. 5 მატჩი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, 3 შვედებმა. გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაა 27:12 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ. (საკდესი).

ევროპის თასებზე

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები, რომლებმაც გამოავლინეს ფინალის მონაწილენი.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში 28 მაისს მადრიდში ერთმანეთს შეხვდებიან პრიზის ახლანდელი მფლობელი — „ნოტინჰემ ფორესტი“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგი“. „ნოტინჰემ ფორესტს“ პირველი მატჩი ამსტერდამში წაგებული ჰქონდა „აიაქსთან“ 0:1, მაგრამ შინ 2 „მშრალი“ ბურთი გაიტანა მეტოქის კარში და გამარჯვება მოიპოვა ორი მატჩის ჯამში.

„ჰამბურგს“ პირველი თამაში მადრიდის „რეალთან“ სტუმრად წაგებული ჰქონდა 0:2. ჰამბურგელებმა განმეორებითი მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს — 5:1 და გაინაღდეს ფინალის საგზური. 2-2 ბურთი გაიტანეს კალცმა და ჰრუბეშმა, 1 — მემერინგმა.

თასების მფლობელთა თასზე პრიზისთვის ბრძოლას გააგრძელებს ესპანეთის „ვალენსია“, რომელმაც თავის მინდორზე ანგარიშით 4:0 მოუგო საფრანგეთის „ნანტს“ და ლონდონის „არსენალი“, რომელმაც იტალიაში ანგარიშით 1:0 სძლია „იუვენტუსს“. „ვალენსიისა“ და „არსენალის“ ფინალური მატჩი 14 მაისს გაიმართება ბრიუსელში.

უეფა-ს თასის ფინალში (2 მატჩი) გავიდნენ გფრ-ის გუნდები — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) და „აინტრაპტი“ (მაინის ფრანკფურტი).

I ლიგა

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1 (1:1).

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 23 აპრილი.

„ტორპედო“: მჭედლიძე, შელია, გოგოლაძე, მერეჩკო, ფარულავა, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ზ. სვანაძე, გორგოძე, მხატვარი (შუგაევი), კვერნაძე.

„კრ. სოვეტოვი“: ლოგინოვი, ევსიუკოვი, კუპრიანოვი, ნიკანოროვი, არუთინიანი, როტენკო, ვანიუშკინი (მჩუკინი), ბაბანოვი, კუზნეცოვი (ზალატოვსკი), კუზმინი, ფეტისოვი.

მსაჯი ვ. გრინბერგი (კიევი).

მატჩის დასაწყისი მარცხიანი გამოდგა ტორპედოელთათვის: სტუმრებმა შეტევით დაიწყეს თამაში, მე-10 წუთზე კუზნეცოვმა გვერდი აუარა შელიას და დაარტყა კარში. მეკარე მჭედლიძემ მხოლოდ თვალი გააყოლა ბურთს, რომელიც კუთხეში გავიდა.

გაშვებულ გოლს ქუთაისელებმა სწრაფი იერიშებით უპასუხეს. „კრილია სოვეტოვის“ კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე ძალზე სახიფათო მომენტი. კვერნაძემ და გორგოძემ მიზანს ააცილეს დარტყმები. მეკარე ლოგინოვმა კუთხურზე მოიგერია გორგოძის მიერ დარტყმული ძლიერი საჯარიმო, შემდეგ მხატვარმა ოდნავ დააგვიანა ბურთზე გასვლა.

და მაინც, მასპინძლებმა ტაიმის დამთავრებამდე აღადგინეს წონასწორობა. ეს გააკეთა კვერნაძემ— 1:1.

ტაიმის ბოლო წუთებზე მჭედლიძემ მოიგერია ფეტისოვის სახიფათო დარტყმა.

ფრე ქუთაისის „ტორპედოს“ არ აძლევდა ხელს, ამიტომ გუნდი შესვენების შემდეგ ხანგრძლივ იერიშზე გადავიდა. იყო მომენტები, როცა კვერნაძეს, გორგოძეს შეეძლოთ წინ გაეყვანათ თავიანთი გუნდი, მაგრამ მაღალი ოსტატობა გამოიჩინა ლოგინოვმა.

განსაკუთრებით დასანანი იყო ის ვითარება, როცა ქუთაისელებს 88-ე წუთზე შეეძლოთ თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ თამაშის ბედი: გარღვევაზე გასული სვანაძე კუიბიშეველთა საჯარიმო მოედანზე ხელით შეაჩერეს, დაინიშნა პენალტი, მაგრამ ლოგინოვმა ალღო აუღო ბურკაძის დარტყმას და მოიგერია ბურთი.

ქუთაისელი ფეხბურთელები უკვე მეორე მატჩს ამთავრებენ ფრედ, სადაც მათ აშკარა უპირატესობა ჰქონდათ.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 6:1 (3:1).

ლანჩხუთი. „კოლხეთის“ სტადიონი. 23 აპრილი.

„გურია“: იმნაძე, ჯინჭარაძე, ნემსაძე, თუთბერიძე (შოთაძე), გაბრიჩიძე, კვაჭანტირაძე, ბოლქვაძე (დუდა), გაბიჩვაძე, ჩხაიძე, ტროიანი, მეგრელაძე (ყოფიკაიშვილი).

„ურალმაში“: გნილოვი (დმიტრიუკი), აიუპოვი, ვოლკოვი, აბაბურკო, ჟურავლიოვი (კალაშნიკოვი), სამოხვალოვი, ვილდიაევი, ნიკიტინი, პეტრუშევი (მატაიხი), სტარიკოვი, სერგეევი.

მსაჯი დ. მიზერნი (დონეცკი).

რიამ“ ცხადად დაამტკიცა, რომ დამსახურებულად აქვს მოპოვებული I ლიგაში თამაშის უფლება და ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს ამ კატეგორიის ძლიერ მეტოქეებს. გუნდი მთელი 90 წუთის მანძილზე თამაშობდა ენერგიულად, კოლექტიურად და შედეგიანად ამთავრებდა მრავალრიცხოვან იერიშებს.

ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა ტროიანმა. ცოტა ხანში გოლის გატანის კარგი შანსი მიეცათ სვერდლოვსკელებსაც, კერძოდ, მათს მარცხენა გარემარბს სერგეევს, მაგრამ ამ მომენტებში ყურადღებით თამაშობდა დაცვა და განსაკუთრებით მეკარე იმნაძე.

მეორე წარმატებას ნემსაძეტროიანის კომბინაციის შემდეგ მიაღწია ამ უკანასკნელმა, მერე კი მეკარესთან პირისპირ გავიდა ბოლქვაძე, მოატყუა გნილოვიც და სწორედ გოლის გატანის წინ მეკარემ იგი ხელით დაიჭირა. გაბიჩვაძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 3:0. ტაიმის დასასრულს „ურალმაშის“ ერთ-ერთი ეპიზოდური კონტრშეტევა გოლით დაამთავრა ნიკიტინმა.

კიდევ უფრო დიდი უპირატესობით თამაშობდნენ ლანჩხუთელები შესვენების შემდეგ. სტუმრებმა ვერ გაუძლეს მეტოქის ენერგიულ შტურმს და მეგრელაძემ, ჩხაიძემ და კვლავ მეგრელაძემ მატჩის ანგარიში აიყვანეს 6:1-მდე.

შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს იმნაძე და ვილდიაევი.

ა. ორმოცაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:3, „დინამო“ (სტავროპოლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — ასკ (ოდესა) 1:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 3:0, „პამირი“ (დუშანბე) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:1, „ბუსტონი“ (ჯიზაკი) — ასკ (ხაბაროვსკი) 0:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალისტი“	6	4	1	1	10—6	9
„დინამო“	6	4	1	1	8—5	9
„დნეპრი“	6	4	1	1	7—6	9
„კოლოსი“	6	3	3	0	10—3	9
„პამირი“	6	3	2	1	9—5	8
„ტორპედო“	6	2	4	0	7—5	8
„ბუსტონი“	6	2	4	0	4—2	8
„სპარტაკი“ ნ.	6	3	1	2	9—5	7
„ზარია“	6	3	1	2	9—6	7
„სპარტ.“ ორ.	6	3	1	2	6—6	7
„ტავრია“	6	2	3	1	13—9	7
„ნისტრუ“	6	3	0	3	8—7	6
„შინიკი“	6	3	0	3	6—7	6
„ფაკელი“	6	2	2	2	6—7	6
„გურია“	6	1	4	1	11—10	6
„სპარ.“ ი.-ფ.	6	1	3	2	5—9	5
„კუზბასი“	6	2	0	4	7—7	4
„ისკრა“	6	2	0	4	4—7	4
„კრ. სოვეტ.“	6	0	4	2	5—8	4
„ურალმაში“	6	1	1	4	7—13	3
ასკ ხ.	6	1	1	4	2—9	3
ასკ ოდ.	6	0	3	3	4—7	3
„მეტალურგი“	6	0	3	3	4—8	3
„ჟალგირისი“	6	0	3	3	3—7	3

II ლიგა

განვლილ ხუთშაბათს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მე-2 ტურის მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ ამ შეხვედრათა შესახებ:

„დილა“ (გორი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1 (1:1)

საინტერესო შეხვედრა დასაწყისიდანვე დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. გარკვევით გამოკვეთილი უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ჰქონია, თუმცა გორელები უფრო ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს დინამოელთა კართან, ეს უკანასკნელნი კი კონტრიერიშებით პასუხობდნენ.

მიმდინარეობდა მე-10 წუთი, როცა ხუციშვილის დარტყმამ მიზანს მიაღწია და ბურთი გავიდა სოხუმელთა კარში. ამას მოჰყვა „დინამოს“ საპასუხო იერიშები, დაცვიდან წინა ხაზზე გადმოვიდა ბერულავა, ისარგებლა მოპირდაპირე მცველის შეცდომით და გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

ტაიმის დამთავრებამდე „დილას“ კიდევ ჰქონდა დაწინაურების კარგი შესაძლებლობა, როცა ხუციშვილმა ძელს მოახვედრა ბურთი.

როგორც კი განახლდა თამაში შესვენების შემდეგ, სტუმრებმა თავიანთი კარის სიახლოვეს დაარღვიეს წესი, რისთვისაც დაინიშნა პენალტი. რამიშვილის დარტყმამ ზუსტად მიაღწია მიზანს — 2:1.

მატჩის დასასრულს სოხუმელებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განავითარეს, მაგრამ გორელებმა საიმედოდ დაიცვეს თავი და გამარჯვებაც შეინარჩუნეს.

ი. თევდორაშვილი.

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:1 (1:0)

რუსთაველმა ფეხბურთელებმა განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარეს პირველი ტაიმი და 28-ე წუთზე წარმატებასაც მიაღწიეს: დინამოელთა მეკარისა და მცველთა შეუთანხმებლობით კარგად ისარგებლა ალადაშვილმა, აართვა მეტოქეს ბურთი და ბადეში გაგზავნა — 1:0.

„მეტალურგს“ ამის შემდეგაც ჰქონდა რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, კერძოდ, იმავე ალადაშვილმა ძელს მოახვედრა ბურთი.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა გამოასწორეს მდგომარეობა. 77-ე წუთზე მასპინძელთა ნახევარზე დაინიშნა საჯარიმო, დინამოელებმა კარგად გაითამაშეს კომბინაცია და ბოხუამ გაათანაბრა ანგარიში.

ამის შემდეგ ინიციატივამ კვლავ მეტალურგების მხარეს გადაინაცვლა, ბათუმელები ყოველნაირად ცდილობდნენ დროის გაყვანას, რისთვისაც გაფრთხილებული იქნა მათი მეკარე ბალაძე. საბოლოოდ, მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

რ. გაბრიჩიძე.

* * *

ამავე დღეს სამტრედიის „ლოკომოტივმა“ შინ მიიღო ზუგდიდის „დინამო“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ფოთის „კოლხეთმა“ გასვლით მატჩში წარმატებას მიაღწია კიროვაბადის „პროგრესთან“ — 1:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „არაზი“ (ნახიჩევანი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 1:0.

● ნიჩბოსნობა

თბილისის ზღვის აკვატორიუმში

ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში რესპუბლიკის პირადგუნდურმა საგაზაფხულო პირველობამ, რომელიც თბილისის ზღვაზე გაიმართა, თავი მოუყარა „განთიადის", „ბურევესტნიკის", „დინამოს", „ვოდნიკის", „კოლმეურნის", „შრომითი რეზერვების" კოლექტივებს. არ იყვნენ მხოლოდ ასკ და „სპარტაკი".

არა და, ეს შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის შემდეგ რესპუბლიკის ნიჩბოსანთა ძალების პირველი დიდი გამოცდა იყო. ეტყობა, ერთმაც და მეორემაც სწორედ ამ გამოცდას აარიდეს თავი. როგორც ცნობილია, განვლილ სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრები ამ სახეობაში ერთობ ულიმღამოდ გამოვიდა. მაშინდელი არასახარბიელო მაჩვენებლებიდან კი ზოგიერთ უწყებას, სპორტსაზოგადოებას დასკვნები აქამდე არ გამოუტანია.

თბილისის ზღვაზე ჩატარებული ტურნირი იმიტომაც იყო განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ მასში ის მოზარდებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც მოსწავლეთა მომავალ საკავშირო სპარტაკიადაზე და III საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში უნდა სცადონ ძალები და, ცხადია, რაც უფრო მეტი ალმოჩნდებოდა ასეთი „აბიტურიენტები", რესპუბლიკის მომავალი ნაკრებისთვის მით უკეთესი იქნებოდა.

ტურნირზე მოწმდებოდა მონაწილეთა როგორც ტექნიკური, ისე ფიზიკური მომზადების დონე, ამიტომაც ასპარეზობის პროგრამაში კლასიკურ მანძილებთან ერთად დიდი დისტანციებიც იყო. მოზარდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი რიგ რბოლაში უფროს კოლეგებს ტოლს არ უდებდნენ, ზოგჯერ კი სჯობნიდნენ კიდეც. მაგალითისთვის ერთადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე რბოლა ავიღოთ. 17 წლის ჭაბუკმა დ. ციხელაშვილმა („განთიადი") გაცილებით უკეთესად იარა, ვიდრე მასზე 2 წლით უფროსმა მ. ჭედიამ, რომელიც ვაჟთა შეჯიბრებაში „ბურევესტნიკის" ღირსებას იცავდა.

ციხელაშვილის წარმატება შემთხვევითი რომ არ იყო, ეს 5000 მეტრზე შეჯიბრებამაც დაადასტურა. განთიადელმა ეს მანძილი ზუსტად 20 წუთში დაფარა და 32 წამით ჩამოიტოვა უახლოესი მეტოქე. თუმცა ჭედიამ თავის მხრივ კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად ვ. ვლასენკოსთან ერთად ორადგილიანით 10 კილომეტრზე — 36.05,0.

ჭაბუკებიდან ასევე ქების ღირსია ციხელაშვილის თანაგუნდელი, 16 წლის ი. საგინაშვილი, რომელიც კანოეთი გამოდიოდა. მან 1000 მეტრი წუთით ადრე დაამთავრა, ვიდრე ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ა. დათიაშვილმა („კოლმეურნე"), რომლის შედეგია 5.16,0. დათიაშვილი პირველი იყო, აგრეთვე, ვაჟების 10 კმ რბოლაში — 44.35,0.

გოგონებიდან უნდა გამოვყოთ ვ. ვასილევიჩი („ვოდნიკი"). იგი 15 წლისაა, მაგრამ ბევრი გაცილებით უფროსი დაჯაბნა და ორჯერ ავიდა გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე — ჯერ 500 მეტრი მოიგო, მერე 3000 მეტრზე ასპარეზობაში აჯობა ყველას.

ტურნირმა ისიც დაგვანახა, რომ ყველა ეკიპაჟი სათანადოდ არ იყო მომზადებული. ფინალურ რბოლებშიც კი იყო ნავის გადაბრუნების, წესის დარღვევის, ბრძოლის შეწყვეტის შემთხვევები. თუ ზოგჯერ მეტოქეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფები გროვდებოდა, ცალკეულ შემთხვევებში საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა რიცხვი მცირე იყო. ორადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე ვაჟების ფინალურ შეჯიბრებაში სტარტზე 3 ნავი მოეწყო და მათგან ერთი — მ. ჭედია („ბურევესტნიკი") — ვ. ვლასენკოს („ვოდნიკი") კომბინირებული დუეტი შეჯიბრებიდან მოიხსნა, მესამე საპრიზო ადგილი გაუთამაშებელი დარჩა.

მწვრთნელებს, ნაკრების ხელმძღვანელებს, რომლებსაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისა და III საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის ევალებათ გუნდების მომზადება ჯერ კიდევ ბევრი საფიქრალი აქვთ.

ტექნიკური შედეგები:

გოგონები. 500 მ. ერთადგილიანი ბაიდარა. ვ. ვასილევიჩი („ვოდნიკი") — 2.49,0, ი. ბულგაკოვა („განთიადი") — 2.58,0, მ. სუხიაშვილი („ლოკომოტივი") — 3.03,0; **ორადგილიანი ბაიდარა.** ა. დემიანეცი — სუხიაშვილი („ლოკომოტივი") — 2.13,0, ვ. ვასიუტინა — ი. გოლოვინა („ვოდნიკი") — 2.14,0, მ. ალაძე — ნ. ალექსეევა („განთიადი") — 2.24,0; **3000 მ. ერთადგილიანი ბაიდარა.** ვასილევიჩი — 13.03,0, ბულგაკოვა — 13.20,0, დემიანეცი — 13.22,0; **ორადგილიანი.** ვასიუტინა — გოლოვინა — 12.42,0, ო. ნოვოიატლევა — ქ. გუდკოვა („შრომითი რეზერვები") — 13.31,0, ლ. მიქავა — ე. ადამოვიჩი („დინამო") — 13.40,0.

ჭაბუკები. 1000 მ. ერთადგილიანი ბაიდარა. დ. ციხელაშვილი („განთიადი") — 3.52,0, ქ. დანელია („დინამო") — 4.04,0, ქ. გოგლიჩიძე („კოლმეურნე") — 4.15,0; **ორადგილიანი.** ვ. ცაავა — გ. ნაყოფია („კოლმეურნე") — 3.33,0, ი. ლიჩევი — ვ. დმიტრიევი („დინამო") — 3.35,0, ვ. კოტუნი — ა. ბოლოტინი („ვოდნიკი") — 3.37,0; **ერთადგილიანი კანოე.** ი. საგინაშვილი — 4.17,0, გ. ბერიძე (ორივე — „განთიადი") — 4.20,0, მ. ვარსიმაშვილი („ლოკომოტივი") — 4.28,0; **ორადგილიანი.** ე. დიდებაშვილი — ი. სანაკოევი („ლოკომოტივი") — 4.10,0, მ. თუხარელი — გ. ქერდიკაშვილი („განთიადი") — 4.26,0, ზ. მალანია — გ. თოფურია („ვოდნიკი") — 4.35,0; **5000 მ. ერთადგილიანი ბაიდარა.** ციხელაშვილი — 20 წუთი, მ. ქვანია — 20.32,0, გოგლიჩიძე (ორივე — „კოლმეურნე") — 20.46,0; **ორადგილიანი ბაიდარა.** კილასონია — დანელია („დინამო") — 18.30,0, ნაყოფია — ცაავა („კოლმეურნე") — 18.43,0, ბ. კალანდაძე — ჯ. მუსაევი („განთიადი") — 19.16,0; **ერთადგილიანი კანოე.** ბერიძე — 27.37,0, ნ. გაბისონია („კოლმეურნე") — 22.01,0, გ. ბექაშვილი („ბურევესტნიკი") — 22.10,0; **ორადგილიანი კანოე.** გ. ხაჩატურიანი — ა. რეზნიკი („კოლმეურნე") — 19.43,0, ვარსიმაშვილი — დიდებაშვილი — 20.03,0, მალანია — თოფურია — 21.43,0.

ქალები. ერთადგილიანი ბაიდარა. 500 მ. ნ. ეგოროვა („დინამო") — 2.37,0, ი. ავსეევა — 2.40,0, ნ. ელბაქიძე (ორივე — „შრომითი რეზერვები") — 2.47,0; **3000 მ.** ეგოროვა — 12.25,0, ავსეევა — 12.44,0, ვ. მორდოვინა („შრომითი რეზერვები") —13 წუთი.

ვაჟები: 1000 მ. ერთადგილიანი ბაიდარა. მ. ჭედია („ბურევესტნიკი") — 4.40,0, ნ. სოსულკოვი („ლოკომოტივი") — 4.44,0, ა. მალიშევი („დინამო") — 4.58,1; **ორადგილიანი.** ა. სტრენგისი — ი. გონჩარი („ვოდნიკი") — 3.15,5, ნ. ჩიჩუა — ს. ვდოვენკო („დინამო") — 3.30,0; **ერთადგილიანი კანოე.** ა. დათიაშვილი („კოლმეურნე") — 5.16,0, ა. იოსავა („ვოდნიკი") — 5.18,0, ი. ცხოვრებაძე („ბურევესტნიკი") — 5.27,1.

საერთო გუნდური. „განთიადი" — 90 ქულა, „ვოდნიკი" — 85, „დინამო" — 77.

გ. ბარბაქაძე.

სურათზე: ნიჩბოსანთა მარათონის მოსახვევში.

ე. ხუცურაულის ფოტო.

[illegible]

● მძლეოსნობა

96, 72 მ

ასეთ მანძილზე „იფრინა" უნგრეთის ქალაქ ტატაში გამართულ ამ ქვეყნის მძლეოსანთა შეჯიბრების მონაწილის ფ. პარაგის შუბმა. ეს პირველი მსოფლიო რეკორდია მიმდინარე სეზონში ევროპის კონტინენტზე. პარაგის მაჩვენებელი 2 მეტრზე მეტით აღემატება მისი თანამემამულის ოლიმპიური ჩემპიონის ფ. ნემეტის ადრინდელ მიღწევას.

შესანიშნავი სტარტი

ფეოდოსიის სტადიონზე გამართულ ლიტვისა და ბელორუსიის მძლეოსანთა მატჩში თავი გამოიჩინა ვილნიუსელმა სტუდენტმა გ. მურაშოვამ. მან ბადრო 67,52 მეტრზე ტყორცნა, რაც წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში და მესამე ამ სახეობის ისტორიაში.

● ფეხბურთი

საგზური — ესპანელებს

ალიკანტეში გაიმართა ოლიმპიური საფეხბურთო შესარჩევი ტურნირის დასკვნითი მატჩი ევროპის III ჯგუფში. ესპანელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს საფრანგეთის გუნდი და მოიპოვეს მოსკოვის ფინალურ საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობის უფლება. გამარჯვებულთაგან ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა რუბიომ, ერთი — მონტერომ.

ორი „ოქრო" პერნიკიდან

ბულგარეთის ქალაქ პერნიკში 21 აპრილს დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ასპარეზობაში 8 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრებაში პირველი ადგილები დაიკავეს ქართველმა ფალავნებმა ვ. გელაშვილმა და ზ. ვარდოშვილმა. ჩემპიონ[illegible]შინ რედაქციის ესტუმრნენ.

ვ. გელაშვილი, ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი, „განთიადის" წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრია 1976 წლიდან (მწვრთნელი ო. შოშიტაშვილი). ბულგარეთში გამართულ ტურნირზე ვ. გელაშვილმა 90 კგ წონით კატეგორიაში 7 შეხვედრა ჩაატარა და შვიდივე მოიგო. ფინალში მან ბულგარელ დოინოვთან გაიმარჯვა და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ზ. ვარდოშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი, „ბურევესტნიკის" წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრია 1976 წლიდან (მწვრთნელი გ. როსტიაშვილი). მან მძიმე წონაში 6 შეხვედრიდან ექვსივე მოიგო. ფინალში ბულგარელი გენდოვი დაამარცხა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ამ ასპარეზობაში საბჭოთა ნაკრებმა სულ 8 მედალი დაისაკუთრა — 6 ოქროსი და 2 ვერცხლისა.

თავისუფალ ჭიდაობასთან ერთად იქვე პარალელურად მიმდინარეობდა ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში, სადაც სსრ კავშირის ნაკრების წევრი, ქუთაისელი უ. თევდორაძე IV ადგილზე გავიდა.

აღსანიშნავია, რომ ბულგარეთში გამართული ეს საერთაშორისო ტურნირი ევროპის პირველობის წინა ეტაპი იყო, რომელიც ჩატარდება აგვისტოს ბოლოს თურქეთის ქალაქ იზმირში.

მ. ბედიაშვილი.

● ველოსპორტი

ახლა მოსწავლეები...

ის იყო დამთავრდა საქართველოს ღია ჩემპიონატი მრავალდღიან ველორბოლაში, რომ ასეთივე ასპარეზობისთვის შეგროვდნენ მოსწავლეები, რომლებიც ერთმანეთს 5 ეტაპზე ეჯიბრებიან. პირველობისთვის იბრძვიან თბილისის (2), აფხაზეთისა და აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, ლაგოდეხის, აგრეთვე, ერევნის სპორტსმენები. სტარტზე გამოვიდნენ იმ ასაკის ველოსიპედისტები, რომლებმაც მომავალ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში საგზატკეცილო ველორბოლაში უნდა სცადონ ძალა, ამიტომაც საქართველოს მრავალდღიანი ძალთა მორიგ დათვალიერებად გადაიქცა.

პირველ ეტაპზე ნატახტარიდან ანანურის მიმართულებით გაეშურნენ და ფინიში ისევ ნატახტარში ჰქონდათ. ველოსიპედისტებმა ამ დღეს 65 კილომეტრი გაიარეს. დაწინაურებას არავინ ცდილა, მხოლოდ ფინიშთან გამოიკვეთა ერთგვარი უპირატესობა. პირველობა მიეკუთვნა ქუთაისელ ზ. ჭილვარიას — 1:27.07. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აფხაზეთის გუნდის წევრები ც. კუკლენკოვი —1:27.37 და ვ. კაკალია — 1:27.52.

გუნდური პირველობა ეტაპზე ქუთაისის ნაკრებმა მოიგო — 4:23.21. აფხაზეთის გუნდი მას 15 წამით ჩამორჩა. დანარჩენმა კოლექტივებმა გაინაწილეს III-VII ადგილები.

გუშინ მეორე ეტაპზე (წეროვანიდან შავშვებამდე და უკან) ველოსიპედისტებმა 75 კილომეტრი დაფარეს. თავიდან დაწინაურდა რ. ქველაძე (თბილისი I). მან ეულად 15 კმ იარა. მერე მას რუსთაველი ო. პეტროვი და ერევნელი ზ. არუთინიანი წამოეწივნენ. ბოლოს ამ დუეტმა ქველაძეც ჩამოიტოვა, როცა ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრი დარჩა, ქუთაისელმა ს. ყიფიანმა მათთან ერთად ტრიო შექმნა, ხოლო რბოლის დამთავრებამდე ორი კილომეტრით ადრე წინ წასულები „დაიჭირეს" რ. ბოლოთაევმა (თბილისი I) და ერევნელებმა ქ. კარაგაშიანმა და ს. გორკოვმა. საბოლოოდ ეტაპზე კარაგაშიანმა იმარჯვა, მეორე იყო გორკოვი, მესამე — ყიფიანი. სამივეს ერთნაირი დრო (1:56.15) აქვს. ეტაპი ერევნის გუნდმა მოიგო—5:47.15. თბილისის I კოლექტივი მას 2 წუთით ჩამორჩა. ქუთაისელები მესამე ადგილზე გავიდნენ— 5:49.30.

ორი ეტაპის ჯამში ლიდერობენ: კარაგაშიანი — 3:23.12 და ერევნის გუნდი — 10:11:31.

შეჯიბრება გრძელდება.

ი. გოცირიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო კომისარი.

რედაქტორის მაგ
ო. გელაშვილ

თბილისის სპორტულ ბაზებზე

მოსკოვის ოლიმპიური თამაშ
სადმი მიძღვნილი საქართველ
პროფსაბჭოს სპარტაკიადის პრ
გრამით.

წყალში ხტომა. საქართველ
სპორტკომიტეტის ზამთრის სა
რაო აუზი. 25-26 აპრილი. და
წყისი 18 ს.

მშვილდოსნობა. „ლოკომ
ტივის" სტადიონი. 25-28 აპრ
დასაწყისი 11 ს.

სპორტული ტანვარჯიში. „
ნთიადის" ცენტრალური საბ
დარბაზი. 25 და 27 აპრილი.
ლთა ასპარეზობა. დასაწყისი 14
სპორტკლუბ „განთიადის" და
ზი. 26 და 28 აპრილი. ვაჟთა
ჯიბრება. დასაწყისი 18 ს.

●

ფეხბურთი. საქართველოს
მპიონატი. 26 აპრილი. დიმ
ვის სახ. საავიაციო ქარხნის
დიონი. „სპარტაკი" (თბილისი)
„კახეთი" (თელავი). დასაწ
17 ს. 27 აპრილი. ფიზკულ
რის ინსტიტუტი (თბილისი)
„სულორი" (ვანი). 16 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლე
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97
მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-87-26; სამხატვრ
93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 0215